სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის დემეტრე ჯინჯოლიას შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	22	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	20
პროფესიული თვისებები	11	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	89	100

ვასილ მშვენიერაძე

თარიღი: 10.12.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ვასილ მშვენიერაძე

2024 წლის 10 დეკემბერი, ქალაქი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **დემეტრე ჯინჯოლიას**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. „საბჭოს“ 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით, გამოცხადდა კონკურსი რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე (38 ვაკანსიაზე).

1.2. „საბჭოს“ 2024 წლის 15 ნოემბრის №1/119 განკარგულებით, მითითებულ კონკურსში კანდიდატად დარეგისტრირდა - **დემეტრე ჯინჯოლია** (შემდგომში - „კანდიდატი“).

1.3. „საბჭოს“ შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[2] მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

1.4. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, „საბჭომ“ ჩაატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატი, შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების შესაბამისად.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტით.

კომპეტენტურობის კრიტერიუმით სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება ქულებით, 35[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა;

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;

„გ“ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები;

„ვ“ პროფესიული თვისებები;

„თ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;

„ი“ პროფესიული აქტივობა.

აღნიშნული მახასიათებლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, თითოეული ამ მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობები ერთმანეთისგან განსხვავდება და შემდეგნაირად განისაზღვრება:

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა – 25 ქულა;

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია – 25 ქულა;

„გ“ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები – 20 ქულა;

„დ“ პროფესიული თვისებები – 15 ქულა;

„ე“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა – 10 ქულა;

„ვ“ პროფესიული აქტივობა – 5 ქულა.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. *„საბჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:*

2.1.1. „კანდიდატი“ 32 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (თსუ, 2014 წელი, ბაკალავრი; თსუ 2017 წელი, მაგისტრი), სპეციალობით მუშაობს 9 წელია, კერძოდ:
- 2015 წლის თებერვალი - 2015 წლის აგვისტო, მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სტაჟიორ-პროკურორი;

- 2015 წლის აგვისტო - 2016 წლის თებერვალი, მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის სტაჟიორ-პროკურორი;
- 2016 წლის თებერვალი - 2016 წლის სექტემბერი, ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორი;
- 2016 წლის სექტემბერი - 2018 წლის დეკემბერი, მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორი;
- 2018 წლის დეკემბერი - 2023 წლის ივლისი, გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის (შემდგომში საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის) საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორი;
- 2023 წლის ივლისი - 2024 წლის ნოემბერი, მსმენელი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

2.1.2. „კანდიდატის" შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები და კითხვარები, რომლებშიც რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს „კანდიდატის" კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის შრომისმოყვარეობას, კომპეტენტურობას, პრინციპულობას, პატიოსნებას, გულწრფელობას, კორექტულობას, პუნქტუალურობას და მოსამართლის სტატუსისათვის შესაფერის სხვა აუცილებელ თვისებებს. გამოკითხული რესპონდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. მათი აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპონდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

2.1.3. „კანდიდატის" შესახებ ინტერნეტ სივრცეში ვერ იქნა მოძიებული ინფორმაცია. კანდიდატი არ სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი/ შემომწირველი.

2.1.4. „კანდიდატს" სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატის სახელზე არ არის რეგისტრირებული უძრავი ქონება. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

2.1.5. შესაფასებელ პერიოდში „კანდიდატს" უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ხუთი ფაქტი. დაკისრებული სანქციები (ჯარიმები) გადახდილია დროულად.

2.1.6. საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში „კანდიდატის“ მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ვერ იქნა მოძიებული. „კანდიდატი“ დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. მის მიმართ არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა და არ მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

2.1.7. „კანდიდატი“ არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი. მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულები - 83/15, რიგითი ნომერი საკვალიფიკაციო სიაში - მე-6.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, დემეტრე ჯინჯოლიამ წარმატებით გაიარა თეორიული სწავლების, სტაჟირების და სემინარული მუშაობის ეტაპები, წარმატებით ჩაბარა სკოლის დამამთავრებელი გამოცდა. სტაჟირებაში მიიღო უმაღლესი ქულა და სკოლის დამამთავრებელ გამოცდაში - 88 ქულა. სისხლის სამართალში დემეტრე ჯინჯოლიას აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად იყენებს პრაქტიკაში. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. სამოქალაქო სამართალში მსმენელს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად იყენებს პრაქტიკაში, აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებებისა და განჩინებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. გააჩნია მაღალი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, ფლობს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, არის მიზანმიმართული, მონდომებული, კეთილსინდისიერი და ყურადღებიანი. მას აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული სამართლებრივი მსჯელობა, ახასიათებს აზრის სწორად და ლაკონურად გადმოცემა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების განჩინების პროექტები წერილობით თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. ადმინისტრაციული სამართალი - დემეტრე არის მაღალი კვალიფიკაციის მქონე იურისტი. კარგად იცნობს ეროვნულ კანონმდებლობას, საკონსტიტუციო, საკასაციო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს, რასაც წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. დემეტრე არის მიზანდასახული, შრომისმოყვარე და პასუხისმგებლობიანი ადამიანი. გააჩნია სამართლებრივი საკითხების ღრმა და ჯეროვანი გააზრების უნარი. სადავო საკითხებზე მსჯელობისას არგუმენტირებულად განმარტავს სამართლის ნორმას, ახდენს მის მისადაგებას დადგენილი ფაქტებისადმი და შესაბამისად იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას. გააჩნია კარგი წერის და ზეპირი კომუნიკაციის უნარი, ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით შეუძლია ნათლად, გასაგებად და დამაჯერებლად გადმოსცეს თავისი აზრი, როგორც ზეპირად ასევე წერილობით, აქვს უნარი სათანადოდ განავითაროს სამართლებრივი მსჯელობა და დაასაბუთოს გადაწყვეტილება.

ამავე დასკვნის თანახმად: „დემეტრე ჯინჯოლიას მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების/საპროცესო დოკუმენტების პროექტების მოწონება შეიძლებოდა, ისინი მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებას საჭიროებდა. მას გააჩნია აკადემიური წერის მაღალი კულტურა და სამართლებრივი დასკვნების გაკეთებისას ამომწურავად ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს/დასკვნებს. დემეტრე ჯინჯოლიას შესწევს უნარი, საქმის გარემოებები და მასში არსებული პრობლემები სტრუქტურირებულად ჩამოაყალიბოს ზეპირად. ასევე, ზეპირად ამომწურავად გადმოსცემს აზრს."

2.1.8. კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია და ნაშრომი.

2.1.9. „კანდიდატს" მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ ღონისძიებებში (მაგ: აღკვეთის ღონისძიებების დასაბუთება ეროვნული კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, ევროპის საბჭო და საქართველოს გენერალური პროკურატურა; საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის თემაზე - საერთაშორისო თანამშრომლობა, ტრენერი, ევროპის საბჭო და საქართველოს გენერალური პროკურატურა - ტრენინგი; ანტი-დისკრიმინაცია, ევროპის საბჭო (HELP-ის პლატფორმა); არასათანადო მოპყრობის აკრძალვა, ევროპის საბჭო (HELP-ის პლატფორმა - ტრენინგი, წინასასამართლო გამოძიება და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ევროპის საბჭო (HELP-ის პლატფორმა); სიძულვილის ენა, ევროპის საბჭო (HELP-ის პლატფორმა); სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, ევროპის საბჭო (HELP-ის პლატფორმა); ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებზე, ევროპის საბჭო - ტრენერთა ტრენინგი; სისხლისსამართლებრივ პრობლემებზე მომუშავე ევროპის საბჭოს კომიტეტის (European Committee on Crime Problems - CDPC) რიგით 75-ე კონფერენციის მონაწილე (ქ. სტრასბურგი, საფრანგეთის რესპუბლიკა); ევროპელ პროკურორთა საკონსულტაციო საბჭოს (Consultative Council of European Prosecutors - CCPE) 2020 წლის კონფერენციის მონაწილე (ქ. სტრასბურგი, საფრანგეთის რესპუბლიკა) და სხვა).

2.1.10. „კანდიდატი" არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

2.1.11. „კანდიდატი" ფლობს ინგლისურ, თურქულ და რუსულ ენებს.

2.1.12. „კანდიდატს" ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

2.1.13. „კანდიდატს" მიღებული აქვს სპეციალური წოდებები:

- უმცროსი იურისტი - 29.02.2016 (ბრძ.№120-მ);
- მესამე კლასის იურისტი - 01.03.2017 წ. (04.04.2017 წლის ბრძანება №34-მ §3);
- მეორე კლასის იურისტი - 01.03.2019 წ. (02.04.2019 წლის №47-გ §2);
- პირველი კლასის იურისტი - ვადამდე - 27.05.2021 წ. (ბრძანება №18 §33);
- იუსტიციის უმცროსი მრჩეველი - ვადამდე - 27.12.2022 წ. (ბრძანება №22 §5).

2.1.14. „კანდიდატის“ მიმართ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას გამოყენებული იქნა წახალისების ფორმები:
- სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2023 წლის 19 მაისის №5 §16 ბრძანებით, გამოეცხადა მადლობა;
- სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2022 წლის 27 დეკემბრის №22 §5 ბრძანებით, ვადამდე მიენიჭა იუსტიციის უმცროსი მრჩევლის სახელმწიფო სპეციალური წოდება;
- სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2022 წლის 27 დეკემბრის №21 §157 ბრძანებით, გამოეცხადა მადლობა;
- სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2021 წლის 28 დეკემბრის №34 §2 ბრძანებით, გამოეცხადა მადლობა;
- სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2021 წლის 27 მაისის №18 §33 ბრძანებით, ვადამდე მიენიჭა პირველი კლასის იურისტის სახელმწიფო სპეციალური წოდება;
- სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 24 დეკემბრის №32 §126 ბრძანებით, გამოეცხადა მადლობა;
- სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს მთავარი პროკურორის 2019 წლის 30 მაისის №7 §6 ბრძანებით, გამოეცხადა მადლობა და მიეცა ფულადი ჯილდო.

2.1.15. „კანდიდატს“ ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა.

2.2. *კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია*:

2.2.1. „კანდიდატის“ საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ყველასათვის ხელმისაწვდომია. მას „საბჭოს“ წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე, სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. „კანდიდატის“ პასუხები ძირითადად თანმიმდევრული და არგუმენტირებული იყო.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ოთხივე მახასიათებლის ((სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატისათვის) მოთხოვნებს (თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია):

ა) „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“;

ბ) „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა“;

გ) „პიროვნული და პროფესიული ქცევა“;

დ) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია“.

3.2. „კანდიდატის“ შესახებ დოკუმენტური, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ (სამოსამართლო გამოცდილების არმქონე) კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებელს სრულად აკმაყოფილებს, შესაბამისად, მივიღე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასკვნა: „კანდიდატი“ სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. „კანდიდატის“ შესახებ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ წარმოდგენილი დასკვნის, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

4.1.1. „კანდიდატს“ გააჩნია სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების სიღრმისეული ცოდნა. „კანდიდატი“ ეცნობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დასკვნის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატს სწორად შეუძლია დაინახოს პრობლემის არსი, მოიძიოს და განსახილველ სამართალურთიერთობას ადეკვატურად შეუფარდოს კონკრეტული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები.

4.1.2. „კანდიდატს“ გააჩნია ანალიტიკური აზროვნების უნარი და ხანგრძლივი პროფესიული გამოცდილებაც. როგორც იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დასკვნით ირკვევა, „კანდიდატის“ მიერ გადაწყვეტილებების პროექტები სწორად და თანმიმდევრულადაა მომზადებული. გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებით, „კანდიდატს“ გააჩნია სამართლებრივი პრობლემების სწორად დანახვის, მისი გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ასპექტების გამოკვეთისა და მართებული გამოსავლის პოვნის უნარი.

4.1.3. „კანდიდატის“ შესახებ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ წარმოდგენილი დასკვნით დგინდება, რომ „კანდიდატი“ წერილობით აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, „კანდიდატის“ მსჯელობა ლოგიკური და თანმიმდევრულია, იგი წერს სამართლებრივი, მარტივი და გასაგები ენით, ფაქტებსა და გარემოებებს ლოგიკურად აკავშირებს ერთმანეთთან. რაც შეეხება, „კანდიდატის“ ზეპირი კომუნიკაციის უნარებს, „კანდიდატი“ გამართულად მეტყველებს, აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, ფაქტების ანალიზის საფუძველზე მსჯელობს

თანმიმდევრულად და ლოგიკურად, ღიაა და გააჩნია დასმული შეკითხვის არსის სწორად აღქმისა და სხვისი აზრის (მათ შორის - განსხვავებულის) მოთმინებით მოსმენის უნარი.

4.1.4. „კანდიდატი" პუნქტუალური, გულმოდგინე, შრომისმოყვარე და მიზანდასახულია. გამოირჩევა გამართული მეტყველების უნარითა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის თვისებით. „კანდიდატმა" საჯარო მოსმენაზე ნათლად და ამომწურავად იმსჯელა სხვადასხვა საკითხზე.

4.1.5. „კანდიდატი" პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხშირად მონაწილეობს. პროფესიული ზრდის თვალსაზრისით მონაწილეობას იღებს სხვადასხვა შეხვედრებსა და ღონისძიებებში. დაინტერესებულია ახალი ცოდნისა და უნარების შეძენით, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში.

4.1.6. „კანდიდატი" ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში. აქვე აღვნიშნავ, რომ „კანდიდატს" პროფესიული საქმიანობის პერიოდში მიღებული აქვს რამდენიმე სპეციალური წოდება, სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშო შესრულებისთვის კანდიდატის მიმართ არაერთხელ იქნა გამოყენებული წახალისების ფორმა.

თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებიდან გამომდინარე, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატი - დემეტრე ჯინჯოლია კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით უნდა შეფასდეს 89 ქულით.

„ა" სამართლის ნორმების ცოდნა - 22

„ბ" სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 23

„გ" წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები - 19

„დ" პროფესიული თვისებები - 11

„ე" აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 9

„ვ" პროფესიული აქტივობა - 5

ვასილ მშვენიერაძე